მეორე სურათის აღწერა სერიიდან ,,სწავლის ძირი”

ამ წერილში კვლავ სურათის, ილუსტრაციის აღწერაზე ვისაუბრებთ და ერთგვარად განვამტკიცებთ წინა, ჩვენის სერიის ,,სწავლის ძირი” მეექვსე წერილში წარმოდგენილ პრაქტიკას და ყურადღებას გავამახვილებთ ქართული ანბანის კიდევ ოთხ ბგერაზე: დ, ე, ვ, ზ.

წარმოგიდგენთ ილუსტრაციას ,,დედა შვილებს წიგნს უკითხავს”, რომელიც დამზადებულია ე. წ. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. დასაწყისში მოკლედ შევაფასოთ ჩვენი ილუსტრაცია წინა წერილში დასახელებული კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	დასაბუთება
შეესაბამება პირველკლასელთა ინტერესებს, თემატიკას.	ილუსტრაციაზე ,,დედა შვილებს წიგნს უკითხავს” ასახული სიტუაცია ნაცნობია ბავშვებისთვის, აღძრავს შინაურ და თბილ გრძნობებს. ილუსტრაცია უბიძგებს მოსწავლეებსა და მათს მშობლებს წიგნის კითხვის კულტურის გამომუშავებისკენ.
ადვილად ,,იკითხება”, მკაფიოა მასზე ასახული სიტუაცია.	ილუსტრაციაზე ასახული სიტუაცია გასაგებია, მკაფიოა, მარტივია. არაა დატვირთული ჩახლართული კომბინაციებითა და წვრილი დეტალებით.
იძლევა ინტერაქციის საშუალებას.	ილუსტრაციის გამოყენებით შესაძლებელია კარგი შეკითხვების დასმა და მათს საპასუხოდ მოსწავლეების ჩართვა.
ასახულია ისეთი საგნები, რომლებიც გამოგვადგება ფონოლოგიური და ფონეტიკური უნარების განვითარებისთვის.	ილუსტრაციაზე სპეციალურადაა დატანილი ერთი, ორი და სამმარცვლიანი სიტყვები. ოთხმარცვლიანიც კი, რადგან ამ ეტაპზე ვმუშაობთ სიტყვების დამარცვლასა და მარცვალთა სინთეზზე. აგრეთვე სიტყვების პირველი ბგერები შეესაბამება სასწავლო მონაკვეთის სამიზნე ოთხ ბგერას (დ, ე, ვ, ზ).

სანამ ამ სასწავლო მონაკვეთის (დაახლოებით ერთკვირიანი პერიოდი, თუკი ის გამდიდრდება სხვა ჩართული აქტივობებითაც, მაგალითად, ლექსით, სიმღერით, ინსცენირებით...) აღწერას შევუდგებით ქვემოთ შემოთავაზებული სურათების მიხედვით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა არის მისი სამიზნე აქცენტები: ზეპირმეტყველების განვითრება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ფონოლოგიური უნარების (სიტყვების დამარცვლა, მარცვლების გამთლიანება) გამომუშავება, ფონეტიკური კომპეტენციის განმტკიცება ,,დ”, ,,ე”, ,,ვ”, ,,ზ” ბგერებზე

კონცენტირებით, კითხვისა (მთლიანი სიტყვების ცნობა) და წერის (წვრილი, ნატიფი მოტორიკის გამომუშავება) საწყისი უნარების ჩამოყალიბება.

სურათებისა და აქტივობების ნიმუშები

ამ წერილშიც ქვემოთ წარმოდგენილია ფოტო-სლაიდები, რომლებიც ასახავს სათანადო აქტივობებს. სურათები დამზადებულია ხელოვნური ინტელექტის დახმარებით. აქტივობების აღწერა თან ერთვის შესაბამის ფოტოს. აქტივობათა ლოგიკური თანმიმდევრობა მიჰყვება წინა წერილში გააქტიურებული ბგერების (ა, ბ, გ) მიხედვით შექმნილ სასწავლო მონაკვეთს.

I ფოტო

ამ ფოტოზე გამოსახულია ჩვენ მიერ ე. წ. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შექმნილი ილუსტრაცია ,,დედა შვილებს წიგნს უკითხავს". ილუსტრაციის წარდგენისას მასზე ინტერაქცია შეიძლება წარიმართოს ისე, როგორც აღწერილი გვაქვს წინა წერილებში. მთავარია, ეს პროცესი მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით წარიმართოს და შემოვიტანოთ თამაშისა და შეჯიბრობითობის ელემენტებიც.

II ფოტო

მნიშვნელოვანია, ილუსტრაციის პირველივე წარდგენისას გამოვკვეთოთ აქ შერჩეული საგნები და მათი დასახელებისას ხაზგასმით დავმარცვლოთ თითოეული სიტყვა და დამარცვლითვე გავამეორებინოთ მოსწავლეებსაც. (ამ და სხვა აქტივობების დაწვრილებით აღწერები აქ არაა წარმოდგენილი და მხოლოდ იდეებია მოწოდებული. ცხადია, ეს იდეები სხვადასხვაგვარად შეიძლება გაიშალოს სხვადასხვა საკლასო ოთახში.)

III-IV ფოტოები



როგორც ვიცით, საგრძნობლად ეხმარება ბევრ ბავშვს მე-3 სურათზე ასახული რესურსები — მარცვალთა რაოდენობის მიხედვით დაჭრილი სურათები.



ამ დროს უკვე მიზანმიმართულად გადავანაწილებთ ჩვენ მიერ შერჩეული სიტყვების სურათებს წინასწარ მომზადებულ სქემაში — დავყოფთ სიტყვებს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

რადგან ასეთ აქტივობაში ბავშვები უკვე ნავარჯიშები არიან, მათი როლი შედარებით აქტიური იქნება. შესაძლებელია, ჯგუფებშიც დავურიგოთ სქემები და სურათები და ვთხოვოთ დავალების შესრულება და შემდეგ ნამუშევრების პრეზენტაცია.

თუკი ამ დროს რამდენიმე ისეთ სიტყვის სურათსაც დავამატებთ, რომლებიც მაინცდამაინც ჩვენს ილუსტრაციაზე არაა ასახული (ან წინა გაკვეთილებზე გააქტიურებული სიტყვაა ან სულაც დაუმუშავებელი ანუ მათს დამარცვლაზე არ გვივარჯიშია და ამ მხრივ ,,უცნობია” ჩვენი პირველკლასელებისთვის), სრულიად შესაძლებელია, რომ ამ აქტივობამ მთელი გაკვეთილი ანუ ნახევარი საათიც კი მოიცვას. ამიტომ არ ვაზუსტებთ ჩვენ ამ წერილებში აქტივობათა გრძლიობას და მხოლოდ ზოგად ჩარჩოს ვვარაუდობთ — ერთკვირიანი სასწავლო მონაკვეთი.

V ფოტო



ამ სურათზე გამოსახული სქემის მიხედვით ბავშვებმა პირველი ბგერის მიხედვით უნდა გადაანაწილონ სიტყვის სურათები. როგორც ვხედავთ, ,,დ”-ს ქვეშ უნდა მოათავსონ დროშის, დევის, დედისა და დინოზავრის სურათები, ,,ე”-ს ქვეშ — ელვის, ენისა და ეკლის სურათები, ,,ვ”-ს ქვეში ვაზის, ვარდისა და ვაშლის სურათები, ხოლო ,,ზ”-ს ქვეშ — ზღვის, ზებრის, ზვიგენისა და ზარის სურათები.

ამ დროს კარგი იქნება, თუკი ბავშვებს ვთხოვთ კიდევ გაიხსენონ და დაასახელონ ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ ბგერებზე იწყება:

— აბა, კიდევ რომელი სიტყვების მოფიქრება შეგვიძლია ,,დ”-ზე?.. ,,ე”-ზე?.. ,,ვ”-ზე?.. ,,ზ”-ზე?..

და მოსწავლეებიც დამატებით დაასახელებენ ჯერ ,,დ”-ზე დაწყებულ იმ სიტყვებს, რომელთა სურათებიც იმ მომენტისთვის არ გვექნება (დაფნა, დათვი, დრო, დილა, დღე...). შემდეგ — ,,ე”-ზე (ეკლესია, ენძელა, ესკიმო...), შემდეგ — ,,ვ”-ზე (ვენახი, ვაზი, ვაფლი, ვეფხვი...), შემდეგ ,,ზ”-ზე (ზამბახი, ზამბარა, ზეთი, ზოოპარკი...). და ეს ძალიან სასარგებლო გონებრივი ძალისხმევა იქნება მოსწავლეთა მხრიდან.

კარგი იქნება, თუკი ამ დროს გამოვიყენებთ ჩვენ მიერ წინა წერილებში აღწერილ ბგერების კედელსაც, რომელზეც განთავსებული გვექნება ბგერების მიხედვით დაჯგუფებული სიტყვების სურათები. სულაც, შესაძლებელია, სწორედ ამ მომენტში ბავშვების მიერ დასახელებული რომელიმე სიტყვის სურათი მივამატოთ ჩვენს ბგერების კედელს.

VI-VII ფოტოები





მე-5 და მე-6 ფოტოებზე, როგორც ვიცით, ასახულია სიტუაცია, რომელიც მიზნად ისახავს სრულიად უმტკივნეულოდ და გასაგებად გამოვუმუშაოთ პირველკლასელებს ქართულ ოთხხაზიან საწერ ბადეში ორიენტირების უნარი მანამ, სანამ ასოების წერაზე გადავალთ.

მოსწავლეების თვალწინ სურათების ხაზებში გადანაწილებისას ხმამაღლა ვისაუბრებთ, რომ:

— **ვაზა** მოთავსდება ზედა ხაზებში, **ვარდი** დაიკავებს ადგილს ოთხივე ხაზს შორის — ზემოდან ქვედამდე, **დროშა** შუა ხაზებში დაეტევა, **დევს** დაბლა მივუჩენთ ადგილს, **დინოზავრი** ზედა ხაზებში ,,აღრიალდება”, **ზარი** შუა ხაზებს შორის ჩაჯდება, **ზვიგენს** ქვედა ხაზებში ჩავაცურებთ, **ენას** შუაში ,,გამოვყოფთ”, ხოლო **ელვა** ზემო ხაზებში გაანათებს.

ამ შემთხვევაში აღარაა დაცული ის პრინციპი, რომელიც გვქონდა პირველი სამი ბგერის სწავლების დროს, პირველი სურათის აღწერის წერილში. თუმცა, უმჯობესი კი იქნებოდა.

VIII-X ფოტოები



































მე-8 და მე-9 ფოტოებზე ასახულია ისეთი აქტივობა, რომელსაც ორმაგი დატვირთვა აქვს და, ამისდა მიუხედავად, სრულიად ადვილად დასაძლევია პირველკლასელებისთვის. ბავშვებს ვთხოვთ, თითოეული სურათის ქვეშ ნიმუშის მიხედვით ჩამოუსვას იმდენი ხაზი (სხვა შემთხვევაში, ეს ხაზი შეიძლება უფრო გრძელი იყოს ან სულაც რკალის ჩახაზვა იყოს მითითებული — სხვადასხვა გამოსახულების დაწერა ხომ კარგი მომზადებაა ასოების დაწერისთვის.), რამდენი მარცვალიცაა ამ სიტყვაში.

შესაბამისად, სრულიად ბუნებრივი და აზრიანი დავალება იქნება, თუკი ბავშვებს ვთხოვთ, სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის შესაბამისი ხაზი ჩამოუსვან ბადიან ფურცელზე, რასაც ხალისით, გაცნობიერებით და მიზანმიმართულად გააკეთებენ. ნაცვლად იმისა, რომ ისინი ვაწვალოთ ფურცლის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ხაზებისა თუ რკალების უაზრო და მტანჯველი ამოწერით.

მე-10 სურათზე იმავე ფუნქციის მატარებელი დავალებაა, ოღონდ, ამ შემთხვევაში გაფერადებას ვთხოვთ მოსწავლეებს სიტყვაში შესაბამისი მარცვლების რაოდენობის მიხედვით. აგრეთვე, კარგი იქნება, თუკი ამ რესურსს შევთავაზებთ ციფრულ ფორმატში და ისინი კომპიუტერული ინსტრუმენტების გამოყენებით მოახერხებენ სვეტების გაფერადებას — სათანადო ფიგურაში ფერის ჩასხმას.

XI-XII ფოტოები



მე-11 და მე-12 ფოტოებზე ასახულია აქტივობები, როდესაც პირველკლასელები ნახატ-წარწერიან ბარათებს აკავშირებენ შესაბამის წარწერებთან. რადგან ეს უკვე მეორე სურათის აღწერაა და ბავშვები მიჩვეულები არიან ასეთი დავალების შესრულებას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: ამ დავალების შესრულება იმას არ ნიშნავს, რომ პირველკლასელები უკვე აქ წარმოდგენილ ყველა სიტყვას იცნობენ, წაიკითხავენ მომდევნო დღეებშიც.

როგორც ილუსტრაციაზეა ასახული, გამოყენებულია ე. წ. ნახატ-წარწერიანი ბარათები ანუ ნახატთან ერთად წარწერაცაა გაკეთებული, რათა პირველ ეტაპზე ბავშვებს ჰქონდეთ წარწერების ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებაც — ესეც დიდი მიღწევა იქნება ამ დროისთვის. შემდეგ კი, სათანადო გავარჯიშების შემდეგ, ბავშვები მხოლოდ ნახატისა და შესაბამისი წარწერის დაკავშირებასაც მოახერხებენ.

XIII – XV ფოტოები

ბოლოს კი წარმოდგენილია სამი ფოტო, რომლებზეც ასახულია შემაჯამებელი დავალებები. წინასწარ აღვნიშნოთ, რომ ამ დავალებების შეთავაზება შესაძლებელია მოხდეს, როგორც ჯგუფური (წყვილებში) სამუშაოს ფორმატში, ასევე ინდივიდუალურადაც. ცხადია, აუცილებელი იქნება შემოთავაზებული რესურსის მოდიფიცირება დიფერენცირებული სწავლების

საჭიროების მიხედვით. ეს დავალებები კარგი წყარო იქნება იმის გასაგებად, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება შემდეგი ბგერების გააქტიურების პროცესში შემდეგ გაკვეთილებზე.

მე-13 ფოტოზე ასახულია აქტივობა, როდესაც ბავშვები ნახატებს ანაწილებენ შესაბამის სვეტში იმისდამიხედვით, თუ რამდენი მარცვალია მასში. ეს კომპეტენცია მათ გაივარჯიშეს ჩვენი ილუსტრაციის დამუშავებისას და ამ წერილში, ზემოთ სწორედ ეს პროცესიც იყო ასახული. აქ შეგვიძლია, ისეთი ნახატიც შევთავაზოთ ბავშვებს, რომელიც ამ ილუსტრაციის დამუშავებისას არ გააქტიურებულა და დავაკვირდეთ, რამდენი და რამდენად მოახერხებენ პირველკლასელები მათთვის სწორი ადგილის მიჩენას.

მე-14 ფოტოს მიხედვით პირველკლასელებს უკვე საწყისი ბგერის მიხედვით მოუწევთ სურათების გადაჯგუფება სვეტებში. ამ სიტყვებზეც ივარჯიშეს ბავშვებმა და ადვილად უნდა გაართვან თავი ამ დავალებასაც. აქაც შეგვიძლია ისეთი სურათებიც შევთავაზოთ ბავშვებს, რომლებიც ამ ეტაპზე არ გააქტიურებულა. მაგალითად, დაფნა, ენძელა, ვარსკვლავი, ზაზუნა, ზღარბი...

მე-15 ფოტოზე კი ასახულია დავალება, რომელშიც სურათებს უნდა შეუსაბამონ წარწერები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებზე და ასეთ დავალებაზე ნავარჯიშები არიან ბავშვები,

მაგრამ მაინც არაა ადვილი დავალება, მით უმეტეს, საწყს ეტაპზე. ამიტომ, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, კარგი იქნება სურათების ქვეშ შესაბამისი წარწერების გაკეთება.

და ბოლოს, აქაც კარგი იქნება კიდევ ერთი დავალება, რომელიც გაამთლიანებს მთელს ამ სასწავლო პროცესს: ბავშვები მცირე ჯგუფებში მუშაობენ, რათა დაამზადონ საწყისი ილუსტრაციის მსგავსი აპლიკაცია შეთავაზებული რესურსების (ფერადი ფურცლები, გამოჭრილი ფიგურები, წარწერებიანი ბარათები, რეალური საგნები, ფერადი ფანქრები...) გამოყენებით და შემდეგ აღწერონ თავიანთი ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ ეს დავალება კარგი იქნება ბავშვების ბუკებში შესასრულებლადაც.